

**შიდა ქართლის ონომასტიკური მასალები
ოსმალური დოკუმენტების მიხედვით
(„თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარი“)**

**ONOMASTIC MATERIALS OF SHIDA KARTLI
IN THE OTTOMAN HISTORICAL DOCUMENTS
(THE GREAT DEFTER OF TBILISI VILAYET)**

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Mariam Koberidze

Gori State University
Gori, Georgia

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია შიდა ქართლის ონომასტიკური მასალები. კვლევა ემყარება 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ფრონის ხეობის ტოპონიმებისა და ანთროპონიმების ანალიზს. დოკუმენტი შედგენილია აღმოსავლეთ საქართველოში მოვლენილი თურქი მოხელეების მიერ, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გადასახადების დაკისრების მიზნით მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის გარკვევას.

დავთარში აღწერილია დვანის, ფცისა და ალის ფრონის 53 სოფელი: საღვალაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლეთუბანი, ავნევი, წუნარი, თურმანული, ბეყმარი, ნული, მალდა, წურბისი, ყორნისი, ერკნეთი. ბერძენაული, ფცა, ტკოცა, ავლევი, ღოღითი, მძვივლეთი, თამარაშენი, ცერონისი, აბისი, საციხური, ჭვირნისი, ბალითი, ქალითი, ფათეინეთი, წირეთი, ატუცი, ურმისხელი, ღარისთავი, შინდარა, სურნისი, თიღვა, ძალინა, ხტანე, თერუგვანი, ახალშენი, ხუნდისუბანი, ოქონა, კნოლე, სომანეთი, ვაყა, სათივე, ბრილი, დომაცხო; ქინძათი, ალი, უწლევი, ულუმბა.

პიროვნული სახელების ანთროპონიმული სურათი ძირითადად ორწევრიანია: 1. სახელი + მამის სახელი; 2. სახელი + ძმა (მისი); 3. სახელი + ძე (მეორე). იშვიათად პირსახელთან ერთად გვხვდება წოდებაც (აზნაური, თავაღი...).

მარტივი სახელები ბოლოვდებიან ხმოვანზე ან თანხმოვანზე: გიორგი, შიო, ლაზარე, საბა, ბარამ, სიმონ, ელიოზ... თანხმოვანფუძიანი სახელები ხშირად წარმოდგენილია ფუძის ფუძის სახით: ზაალ, ბარამ, სიმონ...

პირთა სახელები წარმოქმნილია მოფერებით-კნინობითობის აფიქსებით: -აი (ონია, ხოსია), -უნა (დათუნა, ბაბუნა), -უკა (მამუკა, ბერუკა), -იტა (ოსიტა, კარსიტა), -იკა (დათიკა, ხახაჯიკა), -ინა (კოგინა, ბერდინა), -ა (მახარა, ზაქარა), -ილა (გოკილა, კოკილა..), -უა (ბაჩუა, ადუა).

იშვიათად გვხვდება რთული ანთროპონიმები: სულხანისი, ხახაჯიკა, ავბერდა, მამისიმედი...

კნინობითობის აფიქსით ნაწარმოები სახელები უმეტესად გვხვდება ნათესაობით ბრუნვის ნიშნით და -ა, -ი მავრცობით: აკაკისა, დავითისი...

დოკუმენტში ცალკეა აღწერილი სოფელ ძაღინაში ებრაული დასახლება. 170 პირსახელი წარმოდგენილია ქართული მოდელით: სამკალა, იოსებ, იაკობ, აბრამა, ისჰაკა, ავრამა, მოშია დავით, ჯახანა...

სოფლების სახელწოდებებისა და ანთროპონიმების სტრუქტურული ელემენტები და მაწარმოებელი საშუალებები შეესაბამება ქართული ენის ზოგად მოდელს და გამოხატავს იმ ტენდენციებს, რომლებიც სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი. ადგილის სახელწოდებად არ გვხვდება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ნორმები. ონომასტიკური მასალები გვაძლევს საინტერესო ცნობებს ებრაული და თურქული ანთროპონიმებისა და თბილისის ვილაიეთში შემავალი ქართული სოფლების მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, შიდა ქართლი, ფრონის ხეობა, ტოპონიმები, ანთროპონიმები.

ABSTRACT

The present article examines onomastic materials from the Shida Kartli region. The research is based on an analysis of toponyms and anthroponyms from the Prone Gorge recorded in the 1728 *Detailed Register of Tbilisi Province* (the 1728 *Great Defter of Tbilisi Vilayet*). The document was compiled by Turkish officials sent to eastern Georgia with the objective of determining the exact population numbers for taxation purposes.

The Detailed Register describes 53 villages located in Dvani, Ptsa and Ali Prone: Saghvalasheni, Aradeti, Tsveri, Breti, Dirbi, Dvani, Toletubani, Avnevi, Tsunari, Turmaneuli, Bekmari, Nuli, Malda, Tsurbisi, Kornisi, Erkneti. Berdzenauli, Ptsa, Tkotsa, Avlevi, Mdzvivleti, Tamarasheni, Tseronisi, Abisi, Satsikhuri, Chvirmisi, Baliti, Kaliti, Patkineti, Tsireti, Atutsi, Urmishkheli, Gharistavi, Shindara, Surnisi, Tighva, Dzaghina, Khtane, Terugvani, Akhalsheni, Khundisubani, Okona, Knole, Somaneti, Vaka, Sative, Brili, Domatskho; Kindzati, Ali, Utslevi, and Ulumba.

The anthroponymic structure of personal names is predominantly bipartite, and typically includes: 1. Name + father's name (Dimitri, son of George); 2. Name + brother (Tamaza, his brother); 3. Name + son (Giorgi, his son). More rarely, a title (e.g., nobleman, prince) appears together with a personal name.

Simple names may end in either a vowel or a consonant— for example, Giorgi, Shio, Lazare, Saba, Baram, Simon, Elioz. Consonant-stemmed names frequently occur in their stem form, as in Zaal, Baram, and Simon.

Personal names are formed with endearment and diminutive affixes in the nominative case, such as: -ia (Onia, Khosia), -una (Datuna, Babuna), -uka (Mamuka, Beruka), -ita (Osita, Karsita), -ika (Datika, Khakhajika), -ina (Kogina, Berdina), -a (Makhara, Zakara), -ila (Gokila, Kokila), and -ua (Bachua, Adua).

Complex anthroponyms are rarely attested, including Sulkhanisi, Khakhajika, Avberda, and Mamisimedi.

Names formed with diminutive affixes commonly occur with a possessive case marker and the emphatic vowels -a, and -i, for example: Akakisa, Davitisi.

The document separately describes the Jewish settlement in the village of Dzaghina. It lists 170 personal names recorded following the Georgian model, such as Samkala, Ioseb, Iakob, Abrama, Ishaka, Avrama, Moshia, Davit, and Jakhana.

The structural elements and formation patterns of village names and anthroponyms correspond to the general model of the Georgian language and reflect tendencies characteristic of both the literary language and its dialects. No naming norms characteristic of other linguistic groups are observed in the toponyms. The onomastic material provides valuable information about Jewish and Turkish anthroponyms, as well as about the demographic situation in Georgian villages within the Tbilisi Vilayet.

Keywords: The Great Deftar of Tbilisi Vilayet, Shida Kartli, Prone Gorge, Toponyms, Anthroponyms.

შესავალი

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მთავრობის განკარგულების თანახმად შედგენილია 1728 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მოვლენილი თურქი მოხელეების (დევთარდარების) მიერ. ნაპიების (რაიონების) მიხედვით მოცემული სოფლების სიას თანდართული აქვს სოფელში დასახლებულ კომლთა უფროსების სიები. ისე, როგორც სხვა ოსმალურ დოკუმენტებში, აქაც მათ „ისფენჯი კაცების“ (გადასახადის გადამხდელი ანუ არამუსლიმანები) სახელით მოიხსენიებდნენ (მამისთვალიშვილი 2013: 32).

ეს თურქული ოფიციალური დოკუმენტი ორ წიგნად გამოიცა (2009, 2010). ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარში“ შიდა ქართლის ონომასტიკური მასალების (ტოპონიმებისა და ანთროპონიმების) შესწავლასა და მათი გამოვლენის სიხშირის ანალიზს.

თემის აქტუალურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ წარმოადგენს არა მხოლოდ საგადასახადო-ადმინისტრაციულ რეესტრს, არამედ უძვირფასეს ონომასტიკურ წყაროს, რომლის კვლევა აუცილებელია საქართველოს ისტორიის, ტოპონიმისა და ანთროპონიმის საფუძვლიანი შესწავლისათვის. მასში დეტალურად არის აღწერილი შიდა ქართლის სოფლებისა და ქალაქების სახელწოდებები,

მოსახლეობის სტრუქტურა, გვაროვნული ერთეულები და გადასახადები. აქ დაცული ონომასტიკური მასალა (ტოპონიმიკა და ანთროპონიმიკა) ინახავს მრავალი სოფლისა და ადგილის სახელწოდების პირვანდელ ფორმას, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში შეიცვალა ან საერთოდ გაქრა.

კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებულია დაკვირვების, ემპირიული მასალის ანალიზის, კონტექსტის ანალიზის, რაოდენობრივი კვლევის აღწერისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდები. მოძიებული ემპირიული მასალები აღვწერეთ, შევუდარეთ ქართულ ისტორიულ დოკუმენტებს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საშუალებით გამოვავლინეთ ანთროპონიმთა გამოყენების სიხშირე. საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

მსჯელობა

თბილისის ვილაიეთი (მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ოლქი) იყოფოდა ნაჰიებად (მეორე რიგის ადმინისტრაციული ერთეული) და ლივებად (მოზრდილი ადმინისტრაციული ერთეული). ლივა ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონის მიხედვით ბერძნული სიტყვაა და სამხრეთს ნიშნავს (რუხაძე 2008: 5). გადასახადების აკრეფასა და საფინანსო საქმეებს უმაღლესი რანგის მატარებელი პირი – დავთარდარი განაგებდა.

თბილისის ვილაიეთში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი. გორის ლივაში შედიოდა საციციანოს, პეტრეს, ამილახვრის, შავი არაგვისა და შანშეს, მუხრანის, თრიალეთისა და გუჯარეთის ნაჰიე, გორის ციხე (რაბათი). აქვე იყო ყაიყულის ყაზა – თბილისის ლივა. ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი და პატარა პუნქტების სახელწოდებები, სოფლები და ნასოფლარები.

დასახლებულ პუნქტებში გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელი იყო კომლის მეთაური ანუ ოჯახის უფროსი, რომელიც აღნიშნულია მამის სახელით, ვისი ძმაა ან ვისი ბიძაა. მიუხედავად იმისა, რომ დავთარი მხოლოდ ოჯახის უფროსის სახელისა და მამის სახელის შესახებ გვამღვს ინფორმაციას, მაინც შესაძლებელია იმ დროისათვის დამახასიათებელი ონომასტიკური სურათის აღდგენა. ადამიანთა საკუთარი სახელების შესწავლა, მათი ეროვნული წარმოშობის გარკვევა საგულისხმო შედეგებს იძლევა.

დოკუმენტი ფრონის ხეობის კვლევისათვის საინტერესო მასალას იძლევა. დვანის, ფცისა და ალის ფრონის სოფლები ექვემდებარებოდა ამილახვარს (ჯიქია, ... 2009: 280-341).

დვანის ფრონის სოფლები (16 სოფელი): საღვალაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლეთუბანი, ავნევი, წუნარი, თურმანეული, ბეყმარი, ნული, მალდა, წურბისი, ყორნისი, ერკნეთი.

ფცის ფრონის სოფლები (28 სოფელი): ბერძენაული, ფცა, ტკოცა, ავლევი, ღოღითი, მძვივლეთი, თამარაშენი, ცერონისი, აბისი, საციხური, ჭვირნისი, ბალითი, ქალითი, ფათქინეთი, წირეთი, ატუცი, ურმისხელი,

ღარისთავი, შინდარა, სურნისი, თიღვა, ძაღინა, ხტანე, თერუგვანი, ახალშენი, ხუნდისუბანი, ოქონა, კნოლე.

ალის ფრონის სოფლები (9 სოფელი): სომანეთი, ვაყა, სათივე, ბრილი, დომაცხო; ქინმათი, ალი, უწლევი, ულუმბა.

აღნიშნული სოფლების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი „აღწერა სამეფოსი საქართველოსი“, რომელშიც 1725 წლამდე მონაცემებია შესული (ბაგრატიონი 1941: 79-81); მეფე ირაკლისა და მეფე გიორგის დავალებით ჩატარებული ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების იოანე ბაგრატიონის აღწერა (ბაგრატიონი 1980: 368-369); 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარი“ (თაყაიშვილი 1907: 127-207).

ოსმალური დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ფრონის ხეობის ტოპონიმებს დღევანდელი სახელწოდებების მიმართებით. აქ წარმოდგენილი სოფლების უმეტესობას სახელწოდება არ შეცვლია, ნაწილი ფონეტიკური ცვლილებებით არის წარმოდგენილი, ნაწილი ოკუპირებულია, ზოგი კი ნასოფლარია (კობერიძე 2014: 162-164).

საინტერესოა დოკუმენტში ფონეტიკური ცვლილებებით წარმოდგენილი ტოპონიმები:

საღვალაშენი. ვახუშტი ასახელებს **სალოლაშენს**. დღეს გვხვდება **სალოლაშენი** (ვა > ო მონაცვლეობა).

მაღდა. შდრ. ვახუშტი: **მავდა**. დღეს გვხვდება **მაღდა**. **ლ > ვ** ბგერების მონაცვლეობა. ამჟამას სოფელი ოკუპირებულია.

თორმანეული. შდრ. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები: **თორმანეული**. უ < ო ბგერების მონაცვლეობა. დღეს გვხვდება **თორმანეული**. სოფელი ოკუპირებულია.

დუმაცხო. შდრ. ვახუშტი: **დუმაცხო**. დღეს გვხვდება **დუმაცხო**. უ < ო ბგერების მონაცვლეობა.

დუმაცხოს უკავშირებენ ერთ-ერთი უძველესი ღვთაების ჭანურ სახელწოდებას – **ჯუმარაჩხას**. ამ ორ სახელწოდებას შორის (დუმაცხო და ჯუმარაჩხა) გარდამავალ საფეხურად მიიჩნევენ ფასანაურთან დადასტურებულ მეორე ტოპონიმს – დუმარაჩხაური (ხორნაული 2003: 114).

სათივე. შდრ. ვახუშტი: **სატივე**. დღეს გვხვდება **სატივე**. **თ < ტ** ბგერათა მონაცვლეობა.

ჭვირნისი. შდრ. ვახუშტი: **ჭვირნისი**; იოანე ბატონიშვილი: **ჭურუნისი**. დღეს გვაქვს **ჭვირნისი**. **რ** ბგერის მეტათეზისით. სოფელი ამჟამად ოკუპირებულია.

ფათქინეთი. შდრ. ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები: **ბათქინეთი**. დღეს გვხვდება **ფათქინეთი**. **ბათქინეთი < ფათქინეთი** (ასიმილაცია ბ ბგერის დაყრუების გზით). სოფელი ამჟამად ოკუპირებულია.

ხტანე. შდრ. ვახუშტი: **ხტანა**. **აა > აე** დისიმილაციით. დღეს გვაქვს **ახტანა**.

თერუგვანი. შდრ. ვახუშტი: **თერეგვანი**. **ეე > ეუ** დისიმილაციით.

ატუცი. შდრ. ვახუშტი: **ატოცი**. **აო > აუ** კომპლექსთა მონაცვლეობა. ახლა გვაქვს **ატოცი**.

მძვილეთი. შდრ. ვახუშტი: **მძვიმლეთი**, რუისის დავთარი – **მვიმლეთი**. დღეს გვაქვს **მვილეთი**. **მძვიმლეთი > მვილეთი** (მ-ს დაკარგვით).

-**ეთ** ყველაზე გავრცელებული სუფიქსია გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად (შანიძე 1980: 138). განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელებისაგან ნაწარმოები დიდი გეოგრაფიული სახელები (ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, სვანეთი, სომხეთი, სპარსეთი, არაბეთი...). ამ სუფიქსით ნაწარმოებია მცირე დასახლებული პუნქტები (სოფლები, უბნები...). -**ეთ** „რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფის ადგილს აღნიშნავს“ (ჩიქობავა 2008: 550). ზ. ჯორბენაძის აზრით, -**ეთ** მორფემის ფუნქცია დავიწროვდა და ამჟამად სპეციფიკურ მატოპონიმებელ მორფემად დაჩნდება და სალიტერატურო ენასა და ზოგიერთ დიალექტში. დიალექტთა ერთ ნაწილში მას შენარჩუნებული აქვს ამოსავალი ფუნქცია (მოხეურში, რაჭულის კილოკავებში) (ჯორბენაძე 1993: 431, 432).

ტოპონიმთა უმეტესობა წარმოდგენილია -**ით** ნაწარმოებლით. მაგ.: **ლოღითი**, შდრ. ვახუშტი: **ლოღეთი**; **ქალითი**, შდრ. ვახუშტი: **ქალეთი**; **ბალითი**, შდრ. ვახუშტი: **ბალთა**; **წირითი**, შდრ. ვახუშტი: **წირეთი**. დღეს გვაქვს **ლოღეთი**, **ქალეთი**, **წირეთი**.

-**ით** მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ხშირად გვხვდება როგორც სახელთა წარმოქმნის სუფიქსი. არ არის მოულოდნელი, რომ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად დასტურდება სოფლის სახელებში საქართველოს სხვა კუთხეებშიც: ღვარკ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბელ-ით-ი, ხრე-ით-ი. სამეცნიერო ლიტერატურაში -**ით** მიჩნეულია -**ეთ** სუფიქსის ვარიანტად (შანიძე 1980: 138; ხორნაული 2003: 192).

დავთარში წარმოდგენილი პიროვნული სახელების ანთროპონიმული სურათი ძირითადად ორწევრიანია:

1. სახელი + მამის სახელი: დიმიტრი ძე გიორგისა, ზაქარა ძე გიორგისა...
2. სახელი + ძმა: თამაზა ძმა მისი, ივანე ძმა მისი, ოთარა ძმა მისი...
3. სახელი + ძე (მისი): გიორგი ძე მისი, მამუკა ძე მისი, სეხნა ძე მისი...
4. სახელი + ძე (მეორე): შიო ძე მეორე...

იშვიათად გვხვდება პირსახელთან ერთად წოდებაც: **დათუნა ძე დიმიტრისა აზნაურია, ზოსია ძე ზაქარასი აზნაურია, იმედა ძე კახასი აზნაურია, გიორგი ძე ოთარასი თავადია, ლუარსაბ ძე მისი თავადია...**

ფორმისა და აგებულების მიხედვით პირსახელების სამი ჯგუფი გამოიყოფა: მარტივი ანუ ძირეული, წარმოქმნილი და რთული.

მარტივი ანუ ერთფუძიანი, აფიქსდაურთველი სახელები ბოლოვდებიან ხმოვანზე და თანხმოვანზე. ხმოვანფუძიანებია: **გიორგი, ივანე, შიო, მახარა, ლაზარე, საბა ...**

თანხმოვანფუძიანებია: **ბარამ, ზაალ, სიმონ, ელიოზ, ამირან, ფირან, დანიელ, აბრამ...** მარტივფუძიან პირსახელებად გამოყენებული ზმნური ფორმები: **მახარა, არბიე, ათალა, გენება...**

სახელების უმეტესობა წარმოქმნილია მოფერებით-კნინობითობის მაწარმოებელი აფიქსებით.

-**ია**: **შოშია** ძმა მისი, **ონია** ძე გიორგია, **ხოსია** ძე მისი, **კაკია** ძე მისი, **სეხნია** ძმა მისი, **კაკლია** ძე თამაზისა...

-**უნა**: **დათუნა** ძე დიმიტრისა, **დათუნა** ძე მამუკასი, **დათუნა** ძე ოსიტასი, **მალუნა** ძე თამაზისი, **ბაბუნა** ძე შოშიასი, **ბაბუნა** ძე ბადრასი, **ჯათუნა** ძე იასესი, **საქუნა** ძე აჯუვანისა, **გაბუნა** ძმა მისი...

-უნა მაწარმოებელი ქართულში ძირითადად კნინობით-საალერსო შინაარსის გამოხატველია: **თამუნა, დათუნა, კაცუნა, ჩიტუნა...**

ეს სუფიქსი ქვემო რაჭის მთის მეტყველებაში გამოიყენება როგორც საზოგადო (ქადუნა, ქუდუნა...), ისე საკუთარ სახელებთანაც (დავითუნა, სიკოუნა, პაწუნა...) (ძიძიგური 1970: 254; ხორნაული 2003: 236).

-უკა: **მამუკა** ძმა მისი, **ბერუკა** ძე მურაჯასი, ივანე ძე **ზამუკასი...**

რაჭულში -**უკა** აფიქსი დაერთვის საკუთარ და საზოგადო სახელებს (ვარლამუკა, წყალუკა, დანუკა...) (ძიძიგური 1970: 254).

-იტა: **ოსიტა** ძე დათუნასი, **კარსიტა** ძე კაჯითასი, **კარსიტა** ძე კიდრასი, ხოსიტა ძე ბიძინასი...

-იკა: **ხახაჯიკა** ძე ოკრასი, ფირაი ძე **კოთელიკასი**, **დათიკა** ძე ბაინდურასი...

-ინა: გიორგი ძე **კოჩინასი**, **კოგინა** ძე ივანესი, **ბერდინა** ძე ფილიპესი, ლექვინა ძე მისი...

-ა: **თამაზა** ძე მისი, **გერმანა** ძმა მისი, სეხნა ძმა მისი, **მახარა** ძმა მისი, **ლაზარა** ძმა მისი, **ლევანა** ძე ივანესი, **ზაქარა** ძმა მისი, **გოდერძა** ძმა მისი, **ნასყიდა** ძმა მისი, **ბერა** ძმა მისი, **ოქრა** ძმა მისი, **ბასარა** ძე ბაინდურასი...

-ა სუფიქსი თანხმოვანფუძიან პირსახელებთან დღესაც აქტიურად გამოიყენება შიდაქართლურში.

-ილა: **გოკილა** ძე მამამისისი, **კოკილა** ძე ბასილასი...

-უა: **ბაჩუა** ძე ბერი ძე მახარასი, **ადუა** ძე დათუნასი, **ბერუა** ძე მისი, **ოქრუა** ძე ბუბისა...

როცა -ა მაწარმოებელი ერთვის ო-ზე დამთავრებულ სახელს, ო უ-დ გარდაიქმნება: **ბაჩოა > ბაჩუა**, **ადოა > ადუა**, **ბეროა > ბერუა**, **ოქროა > ოქრუა...**

ფშავში დამცირების მიზნით -უა დაბოლოებას (თანხმოვანსა თუ ხმოვანზე) პირსახელს ურთავენ: **ზურაბუა**, **გოგოუა**, **ივანუა...** (ხორნაული 2003: 236).

იშვიათად გვხვდება რთული ანთროპონიმები: ონია ძე **სულხანისი**, **ხახაჯიკა** ძე ოკრასი, **ავბერდა** ძე მისი, **მამისიმედი** ძე მისი...

მამის სახელები წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით და -ა მავრცობი ხმოვნით: თამაზა ძე **მელქონისა**; კირაკოზ ძე **ზურაბისა**, ივანე ძე **გიორგისა**, თამაზა ძე **ბერისა**, ზუჰრანა ძე **ბაინდურისა**.

კნინობითობის აფიქსით ნაწარმოები სახელები უმეტესად წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით და -ი მავრცობით: ბერი ძე **თამაზასი**, ბერი ძე მისი **ამრასი**, დაჯუკა ძე **ივანესი**, ლაზარე ძე **დავითისი**, ბიძინა ძე **ფირალისი**, ბერი ძე **შოშიტასი**, კიკილა ძე **ბასილისი**, ბერი ძე **ზაკუნისი...**

როგორც ჩანს, მამის სახელების ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შემდეგ დართულ -ა და -ი ელემენტს მავრცობი ხმოვნის ფუნქცია აქვს. განსხვავებას გვიჩვენებს მათი გამოყენების სიხშირე (კობერიძე 2024: 263).

თანხმოვანფუძიანი სახელები ხშირად ფუძის სახით არის წარმოდგენილი: **ზაალ** ძმა მისი, **ბარამ** ძე მისი, **სიმონ** ძე ივანესი, ოთარ ძე ბაჩუასი, **ბაზიდ** ძმა მისი, **ფირან** ძმა მისი, **მიქელ** ძე ივანესი, **დათუნ** ძე დათუნასი...

გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როცა სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი: **ხოსისა** მე ბიბინასი, **ჯათისა** მე მამუკასი, **ქიტესა** მე ნასყიდასი...

შესაძლებელია ადგილის სახელწოდებაზე მიუთითებდეს სახელი **კარბითა** (**კარბითა** მე მისი). კარბითა < კარბიდან. კარბი სოფელია შიდა ქართლში.

ა ხმოვანზე გათავებული სახელები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ნიშნით: **ფირაი** მე ბათასი, **ბერაი** მე ნაზარასი...

ატენისა და წედისის ხეობის მეტყველებაში სახელობით ბრუნვაში **ი** ერთვის არა მარტო ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს, არამედ, საერთოდ, ხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებსაც (კახაძე 1953: 285).

დოკუმენტში ცალკეა აღწერილი ებრაული დასახლება სოფელ მაღინაში. აქ აღწერილი 85 კომლი და დასახლებულია 170 პირსახელი. ყველა ეს სახელი წარმოდგენილია ქართული მოდელით. ებრაელთა პირსახელებად გვხვდება ქართული ანთროპონიმებიც.

ებრაული პირსახელების გამოვლენის პროცენტული მაჩვენებელი: სამკალა – 2%; იოსებ – 4%; იაკობ – 4%; აბრამა – 3%; ისჰაკა – 2%; ავრამა – 1%; მოშია – 2%; დავით – 10%; ჯახანა – 1%; შაბათა – 4%; მორდება – 2%; შიუკა – 1%; შოლომ – 1%... ებრაელთა სახელებში ხშირად მეორდება ქართული სახელი ბერი (20 %).

დავთარში დადასტურდა აღმოსავლური წარმოშობის პირსახელები: **ლევენდი** ძმა ოთარისი; **ლევენთა** მე ბათასი. თურქ. Levent – 1. ისტ. ასე ეწოდებოდა მეზღვაურს, იანიჩართა კორპუსის წევრს ოსმალეთში; 2. წარმოსადგენდა ლამაზი. **ყაზარა** მე ბერუსი. არ. -სპ. Kazara – შემთხვევითობა, მოულოდნელობა; ბერია მე **ჯიჰადისა**. არაბ. Cihat (-di) – რელიგიური წმინდა ომი მუსლიმანობის გასავრცელებლად. **ათაბეგ** მე დავითისა, რევაზ ძმა **ათაბეგის**. Ata-მამა+bey-თავადი, ფეოდალი (გურგენიძე 2017: 38-40).

დასკვნა

საანალიზო მასალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დადასტურებული დვანის, ალისა და ფცის ფრონის სოფლების სახელწოდებებისა და ანთროპონიმების სტრუქტურული ელემენტები და მაწარმოებელი საშუალებები შეესაბამება ქართული ენის ზოგად მოდელს და გამოხატავს იმ ტენდენციებს, რომლებიც სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი. ადგილის სახელწოდებად არ გვხვდება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ფორმები. დავთრის მასალები გვაძლევს საინტერესო ცნობებს ებრაული და თურქული ანთროპონიმებისა და თბილისის ვილაიეთში შემავალი ქართული სოფლების მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატიონი 1941: ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბილისი, 1941.

ბაგრატიონი 1980: ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა. ტოპონიმისა, II. თბილისი, 1980.

- გურგენიძე 2017:** გურგენიძე ნ., აღმოსავლური წარმოშობის ანთროპონიმების შესახებ „1723 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X. თბილისი, 2017.
- თაყაიშვილი 1907:** თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წიგნი I. ტფილისი, 1907.
- კახაძე 1953:** კახაძე ო., ატენისა და წედისის ხეობის ქართლური. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV. თბილისი. 1953.
- კობერიძე 2014:** კობერიძე მ., ფრონეს ხეობის ტოპონიმია. წელიწდეული, VI. ქუთაისი, 2014.
- კობერიძე 2024:** კობერიძე მ., მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში. თბილისი, 2024.
- მამისტვალიშვილი 2013:** მამისტვალიშვილი ე., 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ზოგიერთი ებრაული დასახლების შესახებ. ქართულ-თურქული მულტიდისციპლინარული კონფერენციის მასალები. გორი, 2013.
- რუხაძე 2008:** რუხაძე გრ., ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. თბილისი, 2008. <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=40281>. დამოწმება 24.08.2025.
- შანიძე 1980:** შანიძე ა., თხზულებანაი თორმეტ ტომად. ტომი III. თბილისი, 2008.
- ჩიქობავა 2008:** ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი. შრომები, III. თბილისი, 2008.
- ძიძიგური 1970:** ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი. თბილისი, 1970.
- ძოწენიძე 1973:** ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი. ენობრივი მიმოხილვა და ტექტები. თბილისი, 1973.
- ჯიქია... 2009:** 1728 წლის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ. თბილისი, 2009.
- ჯორბენაძე 1993:** ჯორბენაძე ბ., ონომასტიკური გულანი. თბილისი, 1993.

References

- Bagrationi 1941:** Bagrationi V., Description of the Kingdom of Georgia (Geography of Georgia). Tbilisi, 1941.
- Bagrationi 1980:** Bagrationi I., Description of Kartl-Kakheti. Toponymy, II. Tbilisi, 1980.
- Chikobava 2008:** Chikobava Arn., Grammatical Analysis of Chanuri. Works, III. Tbilisi, 2008.
- Dzidziguri 1970:** Dzidziguri Sh., Georgian Dialectological Research. Tbilisi, 1970.
- Dzotsenidze 1973:** Dzotsenidze K., Upper Imeretian speech., Linguistic Review and Texts. Tbilisi, 1973.
- Gurgenidze 2017:** Gurgenidze N., On anthroponyms of oriental origin in the “Big Book of the Tbilisi Province of 1723”. The Middle East and Georgia, X. Tbilisi, 2017.

Jikia... 2009: The Detailed Register of Tbilisi Province” of 1728. The Ottoman text with Georgian translation, introduction, research and facsimiles was prepared for publication by S. Jikia and N. Shengelia. Tbilisi, 2009.

Jorbenadze 1993: Jorbenadze B., Onomastic Gulani. Tbilisi, 1993.

Kakhadze 1953: Kakhadze O., Kartli of the Ateni and Tsedisi Valleys. Iberian-Caucasian Linguistics, IV. Tbilisi. 1953.

Koberidze 2014: Koberidze M., Toponymy of the Prones Valley. Yearbook, VI. Kutaisi, 2014.

Koberidze 2024: Koberidze M., Position and Function of Extending Vowels in Shida Kartli. Tbilisi, 2024.

Mamistvalishvili 2013: Mamistvalishvili E., The Great Book of the Tbilisi Province of 1728 About Some Jewish Settlements. Proceedings of the Georgian-Turkish Multidisciplinary Conference. Gori, 2013.

Rukhadze 2008: Rukhadze Gr., Unified Dictionary of the Old Georgian Language. Tbilisi, 2008.. <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=40281>. Accessed: 24.08.2025.

Shanidze 1980: Shanidze A., Works in Twelve Volumes. Volume III. Tbilisi, 2008.

Takaishvili 1907: Takaishvili E., Archaeological Travels and Notes. Book I. Tiflis, 1907.